20/10/2019

მოდით, ერთად მივიყვანოთ მადლიანი საქმე ბოლომდე!

“კარიბჭის” მკითხველმა იცის, რომ სურამისა და ხაშურის ეპარქიის მღვდელმთავრის – მეუფე სვიმეონის კურთხევით, ხაშურში, მე-7 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შენდება 12 მოციქულის სახელობის ტაძარი. მშენებლობას ხელძღვანელობს მამა ლევან ახვლედიანი.
გვინდა მშენებლების და მისი ორგანიზატორების სახელით მადლობა ვუთხრათ მათ, ვინც თუნდაც 1 ლარით შეეწია ამ მადლიან საქმეს. უფალმა შეგიწიროთ და სიკეთით ასმაგად დაგიბრუნოთ ყოველი შენაწირი.

სწორედ თქვენი თანადგომით და ფინანსური თუ ფიზიკური დახმარებით ამ დიდებული ტაძრის მშენებლობა დასასრულისკენ მიდის, უკვე დაიდგა გუმბათიც, დარჩა გადახურვის სამუშაოები, მოპირკეთება და უკვე დაიწყება ტაძრის საკურთხევლის მოწყობა.

მოდით, ერთად მივიყვანოთ მადლიანი საქმე ბოლომდე, მეგობრებო! კიდევ ერთხელ შევეწიოთ ტაძრის მშენებლობას, რითიც შეგვიძლია.
12 მოციქულის მადლმა გაგაძლიეროთ!

შეგიძლიათ თანხა გადარიცხოთ ამ ანგარიშზე:
GE50BG0000000550190700
მიმღები მალხაზ ნოზაძე

ტელ.: 598 61 45 66 – მამა ლევანი.

- karibche.ambebi.ge